# სახალხო გაზეთი

№ 175 შაბათი, 4 დეკემბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი. № 175

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ხ. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპოდენციებს სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Большья Ванская ул., N 12, Семену Пашалишвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## ტფილისის სახაზინო თეატრი
21 დეკემბერს 1910 წელს

## იუბილე კ. მესხისა.
სადღესასწაულო წარმოდგენა

ბილეთები არავის გაეგზავნება. ამ თაივითვე ისყიდება ქართულ თეატრის კასსაში. (4—3) თავმჯდომარე დრამ. საზოგადოებისა ნ. გ. ქართველიშვილი.

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის
ყოველდღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო
### სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული
### სურათებიანი დამატება
გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
****ხელის-მომწერთა საყურადღებოდ****
კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.
„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.
წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванская ул., № 12, Семену Пашалишвили.


ელენე დავითის ასული მჭედლიშვილისა, შაქარა იოსების ძე მჭედლიშვილი, და ივანე ალექსის ძე ივანაშვილი ბიძა ივანე მაქსიმეს ძე მჭედლიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას, პირველი ძვირფასის მეუღლის, მეორე ძმის და მესამე დაუვიწყარ ნათლი-მამის

**ბექან იოსების მის მჭედლიშვილისას.**

გამოსვენება კვირას, 5 დეკემბერს, საკუთარ ბინიდან, ფრეილნის ქ., № 5, დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში, პანაშვიდი შაბათს, 4 დეკემბერს საღამოს 6 საათზე. (2—1)

ტფილისის სადგილ-მამულო ბანკის მსახურნი და მოსამსახურენი აუწყებენ

**ბექან იოსების მის მჭედლიშვილის**

სიკვდილს. (1—1)





## ტფილისის კერძო სამკურნალო
გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.
განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.
ტელეფონი № 500.
სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც.
ხამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.
გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.
გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.
კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანჩეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.
მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.
მჭედლიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.
ფირაძლოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.
პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.
ხოხოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტეროლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაცი., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედღავთ. საფასურით. (200—6.—842)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. გაჩაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. მ. მჭედლიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
ა. პოპოვი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.
ტერ-ნიკოლოზოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვიროპ. 11½—12½ საათ.
ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წლ.— 6.—505)

ტელეფონი № 862. ## ქართული თეატრი წარმოდგენა № 31.
შაბათს, 4 დეკემბერს, 1910 წელს,
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:
I
### ნიშანი ყოფაქცევაში
დრამა 4 მოქ. ა. შვაურისა. თარგ. მოლაქიაშვილისა.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი დავითაშვილი, გიქტორელი, კარგარეთელი, ო. ლეჟავა, ლოლუა ჯავახიშვილი. ბ-ნნი არადელი, გ. გუნია, გვარამე, მამფორია, მდივანი, მგალობლიშვილი, გ. მატარამე, ი. ყივიმე, შ. საფაროვი, გ. შალიკაშვილი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი. ადმინისტრაცია: ქართ. დრ. საზოგადოება. (2—2)

## სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე

ი. მ. ახპახოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.
ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.
მონხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ
ნოვიცკი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.
უკლაძნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.
რიდელი—შინაგ. ავად. ყოველ დღე 3—4 საათ.
თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.
ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.
ხარაპ—ბავშვ., შინ. ყოველ დღე 12—1 საათ.
ვესელოვზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.
იოხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.
ლიმონი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.
დ. ა. მხატარიანცი—სიფ., ვენერ., დილის 9 ნახ. საათ. 10 ნახევარ ს. ყოველ დღე.
პონდოევი—ნერვ., ელექტრო-ტერაპ., ყოველ დღე 2—3 საათ.
ხატისოვი ნ დ.—ბებ., ქალ., ყოველ დღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—5.—29)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში
იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—183—29)

**ექიმი** ქ. ქუთაისში **თ. ტყეშელაშვილი**
დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ საშარდე და სასქესო აგებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ფილაროვის სახლი, (50—170—23)

**ექიმი რ. დ. მაჭავარიანი**
იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაკინოვის ქუჩა N 7. თ.—180—46

გამოვიდა
სალიტერატურო და საოხუნჯო
## ალმანახი
606
ფასი 3 კ.
იყიდება „სორაპნის" სტამბაში. (2—1)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—279

**ექიმი ე. ი. მინასიანცი**
ხწამლობს შინაგან, საბავშვო და კუჭის ავადმყოფობას; პროფესორ მატშიეუს სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთი 5—7 საათ. ელისაბედის ქუჩა N 39. (100—37)

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
**მიხეილ გედევანიშვილისა**
იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით.
ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—5.—98)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (ლ)

## ბაქოში
◀ ვექილი ▶
მიხეილ ნასიძე
სცხოვრობს სპასკის ქუჩაზე, სახლის № 49. (10—2)

## ნაშრომი (3):
რუსთაველის გარშემო. ქართული ბიბლია მე-VI საუკ. აღწერა, ტექსტები, ლექსიკონი. (5—250—2)


## ტფილისი, 4 დეკემბერი

**ხალხისა და ინტელიგენციის კავშირი.** მოზარდ თაობის სწავლა-განათლება რომ ყალბ ნიადაგზეა დაყენებული, ამას ეხლა თითქმის არავინ არ უარჰყოფს. სამაგიეროდ ბევრს ჩვენგანს საკმაოდ ნათელი წარმოდგენა არა აქვს იმისა, თუ რა საშინელ მერმისს გვიმზადებს ეს გარემოება. ჩვენს ინტელიგენტურ წრეებში ხშირად გაიგონებთ, საზოგადო საქმისთვის გამოსადეგი ხალხი არ გვყავსო. სამწუხაროდ,—ეს საჩივარი არსებითად სრულიად მართალია. მით უფრო დამაღონებელია იგი, რომ ყოველ წელს ასობით ახალგაზდა ქართველი ყმაწვილი ასრულებს უმაღლეს სასწავლებელს. საქვეყნო საქმის მუშაკთა სიმცირე—ერთის მხრივ და მრავალი უმაღლეს განათლებით აღჭურვილი ახალგაზდობა მეორეს მხრივ—ეს ისეთი წინაამდეგობაა, რომელზედაც ყურადღების შეჩერება ღირს.

თავის თავად ცხადია, ამ წინააღმდეგობის ნიადაგს სწავლა-აღზრდის უკუღმართი მდგომარეობა წარმოადგენს, ხოლო უკუღმართობა კი ისაა, რომ ჩვენი ახალგაზრდობის სწავლა და ცოდნა შეთანხმებული და შეფერებული არ არის ხალხის დღევანდელ საჭიროებასთან. ახალგაზრდობის მუდმივი ნიშანდობლივი თვისება—ფართო იდეალებით უანგაროდ და წრფელი გატაცება—ჩვენს ყმაწვილ კაცობასაც ახასიათებს. მაგრამ ეს ფართო იდეალებით და საქვეყნო ინტერესებით გატაცება—ახალგაზრდობის გულში—ისეთივე ნორჩია და მსუბუქი, როგორც მთლად ყმაწვილი კაცის ბუნება. ეს გატაცება, შესაძლოა, ფართო საზოგადოებრივ მოქმედების განვითარებას სარჩულად დაედოს, მაგრამ შესაძლოა აგრეთვე—უეცრივ დასჭკნეს და მოკვდეს. დსჭკნობა თუ აყვავება იმაზეა დამოკიდებული, თუ საქვეყნო საქმიანობასათვის ყმაწვილ კაცობი რაოდენად მომზადებული იქნება. როცა ახალგაზდა კაცი დაინახავს, რომ თავის ცოდნით არც ერთ, ეგრედ წოდებულ, საქვეყნო საქმეში გამოსადეგი არ არის, სხვა რა დაჰრჩება იმის მეტი, რომ გაერიდოს ამ საქმეს და პირადი ბედნიერების ძებნას შეუდგეს. განსაცდელი სწორედ ისაა, რომ კაცს შეძენილი ცოდნა საქმეში ვერ გამოუყენებია. აქედან წარმოსდგება ის ღრმად დამაღონებელი მოვლენა, რომ საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზი დაცალიერებულია დამომავლისკენ უიმედოდ იცქირება.

ისტორიის დასაბამს ვერც ერთი თაობა ვერ დაიწყებს. თითეული თაობა მხოლოდ წინანდელ თაობათაგან ნაანდერძევ საქმეს განაგრძობს, ზოგჯერ უცვლელად და ზოგჯერ—ცოტა რამ ცვლილებით. აქამომდე, ეგრედ წოდებული, საზოგადო მოღვაწეობა დამყარებული იყო იმ შეხედულებაზე, რომ საქვეყნო ინტერესებით გატაცებულ ადამიანებს თავის ღვაწლით ხალხი უნდა გაებედნიერებინათ. ხალხისა და მოღვაწეთა დაპირისპირება საქვეყნო საქმის პრინციპს შეადგენდა. საზოგადო მოღვაწეობას, ასე ვთქვათ, დუალისტური ხასიათი ჰქონდა. ამ შეხედულებამ უკვე თავისი დრო მოჭამა. გამოირკვა, რომ ხალხის გაბედნიერება არავითარ ხალხის გარეშემდგომ მოღვაწეს არ შეუძლიან; გამოირკვა, რომ საზოგადო მოღვაწეობა იგივ ხალხის თვითმოქმედებაა. ხალხის თვითმოქმედებაში კი ინტელიგენციას სულ სხვა როლი ეკუთვნის, ვიდრე წინანდელ საზოგადო მოღვაწეობაში. ხალხის თვითმოქმედებაში ნაყოფიერ მონაწილეობის მისაღებად ყოვლის უწინარეს ხალხთან დაახლოვებაა საჭირო. და, აი, ჩვენ დროში სწორედ ამ დაახლოვების განხორციელებაა საჭირო. ხალხთან დაახლოვება არა მოქადაგობით, არამედ ნაყოფიერ პრაქტიკულ საქმიანობით—აი, ჩვენის აზრით [illegible] საკითხი. რომელი [illegible] ტას ითხოვს. ამ [illegible] ზე ჯერჯერობით ან სულ არაფერი გაკეთებულა ჩვენში და ან ძლიერ ცოტა. ხალხის სიმცირე, რომელსაც ყოველ ჩვენს საზოგადო საქმეში ვგრძნობთ, ამ საკითხის მხოლოდ ერთ-ერთ გამოხატულობას წარმოადგენს. საქმიანობის პრაქტიკულ ნიადაგზე ქართველ ინტელიგენციას ქართველ ხალხთან ჯერ კავშირი არ გაუბამს, უამისოდ კი ჩვენს დროში საქვეყნო მოღვაწეობა შეუძლებელია. ამ კავშირის გაბმა ისეთი ადვილი საქმე არაა, რომ იმისი ასრულება ჩვენს მოზარდ თაობას ერთის დაკვრით მოეთხოვებოდეს. ამისთვის ხანგრძლივი მუშაობაა საჭირო. იმისი საჭიროება ყოვლის უწინარეს, საზოგადო საქმეში ჩაბმულმა, ეხლანდელმა მოღვაწეებმა უნდა იგრძნონ, მათვე უნდა გაჰკაფონ ხალხისკენ მიმავალი პირველი ბილიკი და ახალგაზდობას მხოლოდ შემდეგ მოსთხოვონ ამ ბილიკის გაფართოება.

ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდა იმ შეხედულებათა ანარეკლს, წარმოადგენს, რომელიც საზოგადოების ნიშნობლივი თვისებებია. ხალხთან კავშირის შექმნა, შედარებით, ახალი აზრია, რომელიც თანამედროვე საზოგადოებას ძვალსა და რბილში ჯერ საკმაოდ არ გასჯდომია. ამ აზრის მიხედვით სწავლა-აღზრდის მოწესრიგება მომავალს ეკუთვნის; ჯერ კი, ძველ შეხედულებათა კვალობაზე აღზრდილი, მოზარდი თაობა თანამედროვე ცხოვრების პირობებთან შეფარდებულ სკოლას არ გადის. არც საკვირველია, რომ ასეთ პირობებში ყველა ჩვენს საზოგადო საქმეებში შესაფერ მოღვაწეთა ნაკლებობასა ვგრძნობთ. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ცვლილება არასოდეს სკოლიდან არ იწყება; ცვლილების დასაწყისი ყოველთვის საზოგადოებაში გაბატონებული აზროვნებაა. მხოლოდ მას შემდეგ, როცა საზოგადოებრივი აზრი საბოლოდ ფერს იცვლის, სწავლა-აღზრდის ცვლილებაც ჰხდება. ამიტომ ჩვენ შეიძლება დიდად უკმაყოფილო ვიყოთ იმ გარემოებით, რომ საქართველოს დაბებსა და პატარა ქალაქებში თავ-გამოდებით მეცადინეობენ გიმნაზიების დასაარსებლად.

ეს ფაქტი მხოლოდ იმასა ჰმოწმობს, რომ საზოგადოებაში ჯერ კიდევ საკმაოდ არ მომწიფებულა ახალი აზრი, ფართე საზოგადოება ჯერ კიდევ არ დარწმუნებულა. რომ ნაყოფიერ საქმიანობას მხოლოდ ხალხისა და ინტელიგენციის კავშირი შესძლებს.

არ მომწიფებულა, მაგრამ აუცილებლად კი მომწიფდება. ამისი თავდები ფუჭი ოცნება და უნიადაგო იმედიანობა კი არ არის, არამედ ქართველ ხალხის და ქართველ ინტელიგენციის დაკავშირების ეკონომიური და კულტურული საჭიროებაა.

**რუსეთის დღევანდელი ხინამდვილე** მას შემდეგ, რაც რუსეთში საკანონმდებლო დაწესებულებანი იქმნა შემოღებული, რეაქციონერთა ერთად-ერთს მიზანს შეადგენდა—ეს საკანონმდებლო დაწესებულებანი თავის მიზნების განსახორციელებელ საშუალებად გამოეყენებინა, პირველი ორი სათათბირო დამოუკიდებელ გზას ადგა, და ამიტომ კიდეც დაითხოვეს „ჩვენ მყვირალა სათათბირო არ გვინდა, ჩვენ ისეთი არავინ გვინდა, რომელიც წყნარ, შემოქმედებითს მუშაობას შეუდგებაო", ამას ამბობდნენ ათასნაირ ფორმაციის რეაქციონერები. ამ მიზნის მისაღწევად საარჩევნო [illegible] შესცვალეს და ხალხის წარ[illegible] თავად-აზნაურობა

ჩაუგდეს ხელში. სათათბიროს შედგენილობამაც ამ რეფორმის შემდეგ შესამჩნევად იცვალა ფერი: იგი მართლაც მშვიდად და წყნარად მოსაქმე დაწესებულებად გადაიქცა. ოქტომბრისტები, რომელთაც პირველ ორს სათათბიროში სრულიად უმნიშვნელო როლი ეჭირათ, მესამე სათათბიროში ხელმძღვანელებად გადაიქცნენ. ოქტომბრისტების მოღვაწეობას კარგად იცნობს ჩვენი მკითხველი, ისინი ყოველთვის გვერდში უდგნენ მემარჯვენეებს და ოპოზიციის ყოველ-გვარი განზრახვა დემოკრატიულ რეფორმების შემოღებისა მათაც მემარჯვენე დეპუტატების მსგავსად, სახელმწიფოს ინტერესებისა და მამულიშვილობის ღალატად მიაჩნდათ. ოქტომბრისტებმა გასწყვიტეს ყოველ-გვარი კავშირი ოპოზიციასთან, უნდოდათ დამოუკიდებელი ცენტრი შეექმნათ, მაგრამ ამის განხორციელება ვერ მოახერხეს. ხშირად მათ სათათბიროს სხვა ჯგუფების დახმარებაცა სჭირდებოდათ ხოლმე, და აი, სწორეთ ამისთანა შემთხვევაში აშკარავდებოდა მათი გულის ნადები: კრიტიკულ მომენტის დროს ოქტომბრისტები ყოველთვის მემარჯვენეთა დახმარებით სარგებლობდნენ. ასეთის გზით მიდიოდნენ ოქტომბრისტები. რეფორმების მოლოდინით, ნაწილი რუსეთის საზოგადოებისა, თქმა არ უნდა, უკმაყოფილოა ოქტომბრისტების პოლიტიკით. რეაქციონერებს კი ჯერ-ჯერობით საბუთი არა აქვთ უკმაყოფილება განაცხადონ მათს წინააღმდეგ. ოქტომბრისტები მუშაობენ და ბევრსაც მუშაობენ. ამ რამდენისამე წლის განმავლობაში ბევრი დიდი კანონ-პროექტი იქნა განხილული. კარგები იყო ეს კანონ-პროექტები, თუ ცუდი, მაინც დიდს მუშაობას თხოულობდა კომისიებში. ოქტომბრისტები ამ მუშაობას არ ერიდებოდნენ. მიუხედავად ყველა ამისა, ნაყოფი ამ მუშაობისა მაინც უმნიშვნელოა. სად არის ამის მიზეზი?

მიზეზი რუსეთის დღევანდელ საერთო მდგომარეობაშია. საქმე, ისა რომ სახელმწიფო სათათბირო, როგორადაც მოწყვეტილია რუსეთის ცხოვრებას. სახელმწიფო სათათბიროს მოღვაწეობა ორგანიულად არ არის დაკავშირებული რუსეთის სინამდვილესთან. იგი უფრო რომელიმე უწყების გაფართოვებულ კომისიასა ჰგავს, ვიდრე საკანონმდებლო დაწესებულებას, რომელიც ვალდებულია რუსეთის ჭირ-ვარამს გაუწიოს ანგარიში, დაამკვიდროს მოქალაქობრივი თავისუფლება და, საზოგადოდ, მეტი განახლება შეიტანოს იმ ცხოვრებაში, რომელიც თვით უმაღლესის მანიფესტითაც კი დაგმობილ იქმნა. ცხოვრებაში ისევ ძველი წესები და კანონები მოქმედებენ, ელემენტარული, მოქალაქობრივი უფლებანი ისევ უყურადღებოდ არიან დატოვებულნი, სახელმწიფო სათათბიროს საკმაო ხანგრძლივმა მოღვაწეობამ ვერავითარი ცვლილება ვერ შეიტანა ცხოვრებაში და, რაც უფრო მეტი დრო გადის თითქოს უფრო შეუძლებელი ხდება განახლება. რეაქცია ლოღიკურის თანდათანობით იზრდება და თითქოს ბოლო აღარ უჩანს ამ ზრდას. სათათბირო კი მუშაობს, მაგრამ არავითარ ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ რუსეთი ნელ-ნელა, მაგრამ სისტემატიურად, ისევ ძველს ცხოვრებას უბრუნდება.

სად მიგიყვანს ასეთი მდგომარეობა ცხოვრებისა არ ვიცით, მაგრამ ეს მიმდინარეობა რომ უკან დახევაში გამოიხატება, ეს ყველასათვის ცხადია ოქტომბრისტები თავიანთ თავს კონსტიტუციონალისტებს ეძახიან, თუ ისინი მართლა კონსტიტუციის მომხრენი არიან, ანგარიში უნდა გაუწიონ ამ გარემოებას და ენერგიულათ მოჰკიდონ ხელი იმ რეფორმების განხორციელებას, რომელნიც უმაღლესად ბოძებულ მანიფესტშია აღნიშნული და რომელთა განხორციელებაც ოქტომბრისტებმა მთელს რუსეთს აღუთქვეს.

ასე უნდა მოიქცნენ, მაგრამ მოიქცევიან კი? ვნახოთ.

## დეპეშები

(პეტერბ. ტელეგრაფის სააგენტოსაგან)

3 დეკემბერი.

### საზღვარ-გარედ.

**პარიზი.** ჰერცოგ ორლეანისა ორლეანისტთა ლიგას „აქსიონ ფრანსეზ“ ჩამოშორდა და როიალისტთა პროვინციულ კომიტეტებში ბევრი ცვლილება შეიტანა. ჰერცოგის ასეთი საქციელი ლიგის მიერ ჰერცოგის წარმომადგენელ გრაფ ლერეგლეს წინააღმდეგ გალაშქრებამ გამოიწვია.

**ლონდონი.** ღამის 12 ს. 35 წ. არჩეულია: 223 ლიბერალი, 251 უნიონისტი, 38 მუშათა პარტიისა, 62—რედმონდის მიმდევარი, 8—ობრაიენის მომხრე. ლიბერალებს 19 ადგილი შემატათ, უნიონისტებს—24, მუშათა პარტიას—4.

**სოფია.** ეროვნულ კრებაზე 1911 წ. ხარჯთ-აღრიცხვა მიიღეს. იგი 1910 წლისაზე 6 მილიონით მეტია და 178,330,600 ფრანკს.

**ბერლინი.** ათი საათის კამათის შემდეგ, რეიხსტაგმა ხარჯთ-აღრიცხვა და სამხედრო კანონ-პროექტი ხარჯთ-აღრიცხვის კომისიას გადასცა. რეიხსტაგის კომისია 28 დეკემბერს შეიკრიბება.

**ბუქარესტი.** მეფემ პალატის დელეგაცია მიიღო. დელეგაციამ სეფე სიტყვის საპასუხო ადრესი მიართვა. ადრესი პალატის თავმჯდომარემ წაიკითხა. მეფემ უპასუხა: პალატა რომ მუდამ ჯარის ინტერესებზე ზრუნავს, დიდად მახარებსო. თქვენ ჯარის გაძლიერება განვითარებით, ფინანსების მოწესრიგებით, თქვენი დამოუკიდებლობა უზრუნველ-ჰყავითო.

ვეცადოთ, ეს ფაქტორები ყოველგვარ დაბრკოლებისაგან უზრუნველვყოთ, რადგანაც ქვეყნის ძლიერება მაგათზეა დამყარებული, სრულის იმედითაც შევცქეროთ მერმის და ძველებურ პოლიტიკას მივდიოთო“.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს ცნობით მომავალ გაზაფხულის პირს საზოგადო პარისსა და ლონდონში გაემგზავრება.

**პეკინი.** კონსტიტუციურ პალატის დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა სასურველად იცნო კანიუვეის ლიანციჩაოსა და სხვა გადახვეწილთა პატიება და სამშობლოში დაბრუნება, რის თაობაზედაც პალატაში განცხადება შეიტანეს. ეს გადახვეწილნი 1898 წლის რევოლიუციის შემდეგ საზღვარ გარედ გაიქცნენ.

**ნორტონი** (ვირგინია). სტონდევალის მაღაროებში გაზმა იფეთქა და 25 თო-მაღნის მუშა იმსხვერპლა.

**სტოკჰოლმი.** სკანდინავიის ბანკთა მეთაურობით პარიზში დეპეიდენორის ბანკი დაარსდა, თანხა 25 მილიონი ფრანკი აქვთ.

**ვაშინგტონი.** კარნეგიმ გუშინ რწმუნებულთა კომიტეტს 10 მილიონი დოლლარი გადასცა, ამ ფულის სარგებელს ომიანობის მოსპობის ქადაგებას მოხმარდება. კომიტეტმა თავმჯდომარედ მთავარი მღვდელი რუტი აირჩია, საპატიო თავმჯდომარედ—პრეზიდენტი ტაფტი.

გენერალურ შტაბის უფროსმა სამხედრო საქმეთა კომიტეტში მოხსენება წარადგინა,—სამხრეთი ამერიკა საკმაოდ არაა გამაგრებული მტრის მოსაგერებლად, რის გამოც არტილერია უნდა გაძლიერდეს, საველე ზარბაზნები გაზრდეს, ჯარიც თანდათან გაძლიერდეს და 80 ათასიდან 100 ათასამდე უნდა ავიდესო.

**პარიზი.** იზვოლსკი ჩამოვიდა.

**ლონდონი.** 4 ს. 30 წ. მდე არჩეულია: 235 ლიბერალი, 257—უნიონისტი, 40—მუშათა პარტიისა, 65—რედმონდის მიმდევარი და 8—ობრაიენის მომხრე. ლიბერალებმა შემატეს 21 ადგილი, უნიონისტებმა—26, მუშათა პარტიამ—4.

**ბერლინი.** შვეიცარიის კავშირის საბჭომ 1911 წლისათვის, პრეზიდენტად შინაგან საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი—მარკ რუიშე აირჩია, პრეზიდენტის თანაშემწედ—ლიოფორრერი.

**ლონდონი.** სიურეს საგრაფოში, თავშესაფარში მყოფმა 300 უსახლ-კარომ ბურღულის ჭამაზე უარი განაცხადა, მოსამსახურეებს დანა-ჩანგალი დაუშინეს. მოსულ პოლიციას ლანგებითა და ჩანგლებით დახვდნენ. პეტერს მიმართეს. 86 დაპატიმრეს და წესიერება აღადგინეს.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. ჩეხიის დელეგაციაში თითქმის ერთხმად აირჩიეს 4 გერმანელი, და 5—ჩეხი, მათ შორის ახალგაზდა ჩეხი კრამარჟი და რადიკალი—კლოფასი. აგრარიებმა ზაზვორკი დაატოვეს, სოციალისტებს—სუკუპი. მასარიკი 53 ხმით 33 წინააღმდეგ აირჩიეს.

### რუსეთი

#### სტუდენტების მღელვარება.

**პეტერბურგი.** ოფიციალური. 30 ნოემბერს, ნაშუადღევს 1 საათზე პეტერბურგის უნივერსიტეტში სტუდენტებმა ნებადაურთველი კრება მოახდინეს. პროფესორმა სთხოვა დაშლილიყვნენ, მაგრამ სტუდენტებმა თავისი არ დაიშალეს უნივერსიტეტის მთავრობამ სტუდენტები გააფრთხილა, პოლიციას შემოვიყვანთო. ქალაქის უფროსის განკარგულებით, უნივერსიტეტში პოლიციის რაზმი შევიდა, სააქტო დარბაზი და ტალანები დაიჭირა სტუდენტებს მოსთხოვეს, ახლავ დაიშალენითო. მხოლოდ მცირე ჯგუფი დაემორჩილა მათ. დანარჩენი 1000 კაცამდე ძალით გამორეკეს ქუჩაში. $2^1/_2$ საათზე სააქტო დარბაზი მთლად დააცარიელეს, პოლიციას იარაღი არ უხმარია. გალახვაზე არავითარი განცხადება არ მიგვიღია, ხოლო პოლიციამ 10 სტუდენტი დააპატიმრა, რომლებიც გაუძალიანდნენ. პიროვნების შემოწმების მერე, ესენიც გაანთავისუფლეს. ამავე დღეს ნაშუადღევის 3 საათზე პოლიციას აცნობეს, ქალთა უმაღლეს კურსების დარბაზში ნება დაურთველი კრებაა დანიშნულიო; მაშინვე კურსების დირექტორს ეუწყა, უკეთუ კრებას არ დაშლით, პოლიციის რაზმს შემოვიყვანთო. ამ წინადადებას ხმაურობითა და ყვირილით შეხვდნენ. ამ დროს პროფესორმა ბულიჩმა შეკრებილთ მიმართა და სთხოვა, მშვიდობიანად დაიშალენითო. მასაც ყვირილითა და აურ-ზაურით გასცეს პასუხი. აქ-იქ ხმები გაისმა, დარბაზიდან პოლიციის გაყვანას მოითხოვდნენ.

რადგანაც კურსის მსმენელმა ქალებმა დარბაზიდან გასვლაზე გადაჭრით უარი განაცხადეს, პოლიციამ ძალით გამორეკა ქუჩაში, გამოყვანის დროს ერთმა კურსების მსმენელმა ქალმა, ელისაბედ ტალმა, ერთ პოლიციის აფიცერს ხელით შეურაცხჰყო. ტალი დაატუსაღეს და ვინაობის შემოწმების შემდეგ გაანთავისუფლეს. 5 საათზე სააქტო დარბაზი სრულიად დააცარიელეს. კურსის მსმენელი ქალები მაინც კიბეებზე ტრიალობდნენ ნახევარ საათს. 1 დეკემბერს, დილით, კურსების დირექტორმა პროფესორმა ბულიჩმა კურსები დაკეტილად გამოაცხადა, ახალ დადგენილების გამოცხადებამდე, რის თაობაზედაც შესავალ კარზე განცხადება გამოაკრა. დილის 10 საათზე სასწავლებელთან 500 კურსების მსმენელი ქალი შეგროვდა. მათ დაიჭირეს, არამც თუ უმთავრეს კარის წინ ტროტუარი, არამედ ქუჩის ნაწილიც. პოლიციამ მოსთხოვა, დაიშალენითო. ქალებმა ამას არავითარი ყურადღება არ მიაქციეს. მაშინ პოლიციამ განუცხადა, ვინც არ წავა, დავაპატიმრებთ და პასუხისგებაში მივცემთო. არც ამ მუქარამ გასჭრა, ქალები ადგილიდან არ იძროდნენ. მაშინ პოლიციამ 7 ქალი დააპატიმრა და პოლიციაში გაისტუმრა. ამის შემდეგ ქალები ნელ-ნელა დაიშალნენ. დაპატიმრებული ქალები, ვინაობის შემოწმებისა და ოქმის შედგენის შემდეგ, გაანთავისუფლეს.

**ახალქალაქი.** შუა ღამის 1 საათზე მიწა იძრა.

**პეტერბურგი.** ღამე, ალექსანდრეს ლიცეის კასის ეკლესიას ცეცხლი გაუჩნდა. ეკლესიის გვერდზე მდებარე პუშკინის მუზეუმსაც წაეკიდა. ჩაქრობის დროს, წყალმა პუშკინის რამდენიმე ხელნაწერი და ნივთი გააფუჭა.

**ჩელიაბინსკი.** გუშინ სამი პოლიციელის მკვლელებს ბოქაული ჩიკრიზოვი დაედევნა, ბოქაულიც მოჰკლეს. ერთი მკვლელთაგანი შეიპყრეს.

**მოსკოვი.** „უტრო როსიი“ 500 მანეთით დააჯარიმეს, რადგან ცრუ ხმები გაუვრცელებია ტრამვაის მუშათა და მოსამსახურეთა მოძრაობის თაობაზე.

პოლიციამ შეიპყრო ნებადაურთველ გაზეთის რედაქტორი დიმიტრიევი.

**ბათუმი.** შავის ჰირით ერთი კაცი მოკვდა.

---

**შინაარსი კვირის დამატებისა.** ლექსები: ა. შანშიაშვილისა, ნინო ორბელიანისა, ს. ფაშალიშვილისა, ბილილასი, რ. ბებიაშვილისა, გრიშაშვილისა, ნ. ჩხიკვაძისა, მ. გობეჩიასი, დ. კასრაძისა, დ. ელიოზიშვილისა და კიკა ფშაველასი. სურათები: დავიწყებული ხმები და ალესი. კარიკატურა: ჟურნალისტების ჰიდაობა, კოტე მესხი იუბილეს მოლოდინში (მარჯი), და მოქანდაკე ი. ნიკოლაძე ლიოგენის ფარნით.

## ახალი ამბები

### ტფილისი

**სამღვდელოების კრება.** 14 დეკემბერს ტფ. სასულიერო სემინარიის ძველს შენობაში საქართველოს ეპარქიის სამღვდელოების კრება დაიწყება. განსახილველი საგნები: 1) სამღვდელოების ნივთიერად უზრუნველყოფა (დრამის მაგივრად ფულის დაწესება), 2) საეკლესიო-განმანათლებელი მოღვაწეობა სამღვდელოებისა, 3) სინოდისაგან გადადებულ ფულის განაწილება მრევლთა შორის, 4) ფულის გამოძებნა

## ნოე და ღვინო

საშინელებას ბოლო მოეღო,
წაირღვნა სრულად მთელი ქვეყანა.
ყოვლის წამწყმედმა მისმა ძალამა
ვერ მიუწვია მხოლოდ მზესთანა.
გუშინ შთანთქმულნი წყალთაგან მთანი
დღეს ცოტ-ცოტაობით თხემებს აჩენდნენ
და ცით ვარსკვლავი კვალად ქვეყანას
მოწმენდილ ციდან სხივებს აფრქვევდნენ.
გემმა ნოესამ თავის ბარგიანურ
ურარტის მთაზე ჰპოვა სადგური;
წყალმაც მოძებნა თვის კალაპოტი
რა დაასრულა ღვთის სამსახური.
რას ჰხედავს ნოე? ქვეყნად ჯოჯოხეთს
დაბა-სოფლებსა ვერანად ქმნილსა
მადლი თუმც უთხრა ღმერთს რომ გადაჰრჩა
მაინც ბოლო დროს მიჰყვა ჩივილსა:
„რა სიცოცხლეა, თუ თვის შვილთა გარდა,
ქვეყნად ვერ ჰნახავს ვისმე სხვის შვილსა,
რომ მის სიცოცხლე სხვამაც იცოდეს;
მისი სიკვდილი სხვამაც გაიგოს?!
რის მაქნისია, თუნდ სიმარტოვით,
მსოფლიოს ფლობით ბევრიც რომ ირგოს?!
ანთავისუფლებს ფრინველთ და ცხოველთ
რათა აღავსონ იმათ ბუნება.
„განმრავლდით, ვით ქვიშა ზღვაშია!“
ყველა სულდგმულსა ის ეუბნება.
თითონ ცოლ-შვილით ფერდობს ჩამოჰყვა
და მთისა ძირში ვაზნარი ჰპოვა.
ესიამოვნა მამათ-მთავარსა
და დაუტევა იმიერ გლოვა.
აჩენს შლამიდან რქა-გრეხილს ვაზებს,
თან შემწეობა მეუფეს სთხოვა,
რომ აეყვავა კვალად ვაზნარი,
უნაყოფოდ არ დაეტოვა.
რთველობა მოვიდა... ზვარს ძლიერ ესხა.
თვითეულს მტევანს ვერ აწევს კაცი.
დაწურა ნავში, ავსებს ქვევრებსა,
ჩვეულებისებრ თან დაკლა ვაცი.
არ გაუცრუვდა ნოეს იმედი
და შვიდ დღეს უკან ჰაშნიკიც ნახა
შესწირა უფალს დიდი მადლობა,
რომ გაისვლა კვლავ ღვინით ხახა.
„ეჰ, ღვინოვ, ღვინოვ, გულის სალბუნო“,
მამათ-მთავარმა თან შემოსძახა,
თასს თასი მოჰყვა... ეგემრიელა,
ღვინო შეუმხუნა, ახალ-პირული,
ის დაავიწყდა თუ ღვინის ძალით
რყევას უწყებდა ტანი გმირული.
რად გინდათ გითხრათ რაც შემდეგ მოხდა,
ან რით გათავდა მისი ქეიფი,
ვინ რასა ფიქრობს მის შვილთაგანი,
ან რასა შვრება საბან-ლეიბი?!

ვაჟა-ფშაველა.

## შრომა, სიკვდილი და ავადმყოფობა.

(ლ. ნ. ტოლსტოისა)

პარაგონელებს ამგვარი გადმოცემა აქვსთ: ღმერთმა პირველად იმგვარად გააჩინა ადამიანები, რომ არა სჭირდებოდათ, არც შრომა, არც თავ-შესაფარი, არც ტანისამოსი და არც საჭმელი; ყველა მათგანი ას წლამდე სცოცხლობდა, არ იცოდნენ, თუ რა იყო ავადმყოფობა.

რამოდენიმე ხანმა განვლო ღმერთმა გადახედა ხალხის ცხოვრებას და ნახა,—იმის მაგივრად, რომ თავისი უზრუნველი ყოფით დამტკბარიყვნენ ყველანი, მხოლოდ თავის თავზედ-და ზრუნავდნენ. ერთი მეორეს გადაჰკიდებოდა და ისეთი ყოფა შეექმნათ, რომ გაჩენის დღეს იწყევლიდნენ.

ღმერთმა იფიქრა:—ეს იმიტომ მოხდა, რომ ყველა თავისთვის, განმარტებით სცხოვრობსო. მაშინ ღმერთმა ისე მოაწყო, რომ ადამიანს გაურჯელად უშრომად არსებობა აღარ შეეძლო. ადამიანი შიმშილ-სიცივისაგან, რომ არ გატანჯულიყო, საცხოვრებელი ბინა უნდა აეგო, ეხნა, ეთესნა, ნათესისათვის მოევლო შემდეგ მოემკო, და ამგვარ ნაყოფით ესარგებლა.

შრომა ადამიანებს ერთანეთს დაახლოვებს, შეაერთებს,—იფიქრა ღმერთმა:—ხომ არ შეიძლება მარტო-ხელამ ხე-ტყე მოსჭრას კიდეც, მოზიდოს კიდეც, ბინაც ააშენოს; ერთი ადამიანი ვერ შეიძლებს იარაღის დამზადებას, მოხვნას, მოთესვას, მომკას, დართვას, მოქსოვას და ტანისამოსის შეკერვას. ადამიანები უნდა მიხვდნენ, რომ გულმოდგენი შრომით მეტს დაიმუშავენ, უკეთესადაც იცხოვრებენ, ეს კი—შეაერთებს ადამიანებსო“.

კიდევ რამოდენიმე ხანი გავიდა, ღმერთმა კვლავ მოისურვა ხალხისათვის დაეხედნა და დარწმუნებულიყო, რომ იგი კმაყოფილია, თავის ცხოვრებას დაჰხარის.

მაგრამ ხალხი ეხლა ბევრით უარესად სცხოვრობდა, ვიდრე წინად, თუმცა ერთად შრომობდნენ (უიმისოდ არც შეიძლებოდა), მაგრამ ჯგუფ-ჯგუფად კი დაყოფილიყვნენ თითოეული ჯგუფი სცდილობდა მეორისათვის სამუშაო წაერთმია, ამ გვარი შეცილებაში ხარჯავდნენ დროსაც, ძალ-ღონესაც და ამიტომ ყველა ცუდ-ყოფაში გრძნობდა თავს.

ღმერთმა ნახა, რომ არც ესრეთი ყოფა იყო კარგი და გადასწყვიტა იმგვარად მოეწყო საქმე, რომ ადამიანს არა სცოდნოდა ჟამი თავის სიკვდილისა.

„ყოველ წუთს რომ სიკვდილის მოლოდინში იქმნებიან,—ფიქრობდა ღმერთი,—წუთიერ არსებობისათვის ერთმანეთს სიცოცხლეს აღარ მოუშხამებენ“.

მაგრამ არც ასე მოხდა.

ღმერთმა კვლავ მოისურვა ენახა, თუ ეხლა როგორ-ღა სცხოვრობდა ხალხი. ნახა და დარწმუნდა,—გაუმჯობესება არაფერში ეტყობოდათ. ყოველ წუთს სიკვდილის მოლოდინში, უფრო მძლავრთ დაემონავებინათ სუსტნი და უღონონი, ზოგი დაეხოცათ, ზოგსაც სიკვდილს ემუქრებოდნენ. ცხოვრება ისე მოეწყოთ, რომ მძლავრნი და მათი ჩამომავალნი არაფერს შრომობდნენ, უსაქმობით მოწყენილიყვნენ, უღონო და სუსტნი კი, გადაჭარბებულ შეუსვენებელი შრომა-ჯაფისგან მოქანცულიყვნენ და დასვენებას ნატრულობდნენ. სუსტებსაც და მძლავრებსაც ეშინოდათ და ეჯავრებოდათ ერთმანეთი. ამ გვარად ხალხის ცხოვრება უფრო უბედური გახდა.

ღმერთმა საქმის გამოსაკეთებლად, ერთი უკანასკნელი საშუალებაც სცადა: კაცობრიობას ყოველგვარი ავადმყოფობა მოუვლინა. ღმერთმა იფიქრა, როცა ადამიანი ავადმყოფობის მოლოდინში იქმნება, ხალხი მიხვდება, რომ ჯანმრთელებმა სნეულებას უნდა უპატრონოს და მოუაროს იმ მოსაზრებით, რომ ვინიცობაა ჯანმრთელიც დასნეულდეს, იმათაც სხვა ჯანმრთელები მოუვლიან.

ღმერთმა დროებით თავი მიანება ხალხს. ხოლო როცა მათ სანახავად კიდევ დაბრუნდა იხილა, რომ ცხოვრება უფრო მეტად გამწარებულიყო. ავადმყოფობამ ხალხი კი არ დაახლოვა, უფრო დააშორა ერთმანეთს. ისინი, ოდონც ძალით სხვებს იმსახურებდნენ, ძალითვე ავლენინებდნენ თავიანთ ავადმყოფებსაც და თვითონ კი ისევ უზრუნველად ისხდნენ. ისინი კი, ვისაც იძულებით სხვის ავადმყოფს ავლენებდნენ, მოუცლელობისა გამო თავის საკუთარ ავადმყოფებს ღვთის ანაბარად სტოვებდნენ. ამას გარდა, ხალხმა ბევრი სნეულება გადამდებად აღიარა და გადადების შიშით, არამც თუ არ უახლოვდებოდნენ სნეულთ, იმათ მომვლელებსაც შორს გაურბოდნენ.

მაშინ ღმერთმა სთქვა:

— რადგანაც ამ საშუალებითაც ხალხს ვერ შევაგნებინე რაშია მათივე ბედნიერება, დაე, თითონვე ტანჯვა-წვალებით მიაგნონ თავისავე ბედნიერებასო.

და ღმერთმა მიატოვა ხალხი.

თავის ანაბარად მიტოვებულმა ხალხმა დიდხანს ვერ შეიგნო, რა გზით შეეძლო ბედნიერად ეცხოვრა. ბოლოს და ბოლოს ზოგიერთი მიჰხვდა, რომ შრომა და ჯაფა ერთისათვის საფრთხობელა არ უნდა იყოს, ხოლო მეორისათვის—კატორღა, არამედ ყველას უნდა აკავშირებდეს, აერთებდეს, ახალისებდეს. საერთო, თანდი თან შეიქმნე საერთო, რადგანაც სიკვდილი ყოველ ჟამს მოსალოდნელია, ყოველ ადამიანის გონივრული მოქმედება იმაში უნდა გამოიხატებოდეს, რომ დღენი თვისნი ერთმანეთის თანხმობაში და სიყვარულში დაჰლიოს თან და თან ისიც შეიგნება, რომ სნეულება განმაცალკევებელი მიზეზი კი არ უნდა იყოს, პირიქით ერთმანეთის დაახლოვებისა, თანაგრძნობასა და სიყვარულს უნდა იწვევდეს.

ზ. ბ—ცახელი.

სემინარიაში მუსიკისა, მხატვრობისა და გიმნასტიკის სწავლების შემოღებად 5) ტფ. დედათა ეპარქიალური სასწავლებლის 1911 წ. ხარჯთ-აღრიცხვა, 5) ტფ. სიეპარქიო სანთლის ქარხნის საქმის წარმოება და სხვა.

✦ **შავი ჭირი.** ბაქოსა და ბათომში შავის ჭირის ნიშნებით უკვე ორი კაცი გახდა ავად. ამ ამბავმა ტფილელნი ძალიან შეაფიქრიანა. შავის ჭირის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ ზომების შესამუშავებლად დღეს ქალაქის გამგეობის სადგომში კრება ექმნება ქალაქის სანიტარულ-აღმასრულებელ ბიუროს.

✦ **ვაჟა-ფშაველას პოემა.** იბეჭდება და ჩქარა გამოვა გასასყიდად ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონი“ შვიდის ნახატით და ავტორის სურათით.

✦ **კოტე მესხის იუბილე.** ტფ. ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ კრებაზე დაადგინა, დაავალოს გამგეობის წევრს თავ. ალ. [illegible]თინსკის, რომ 21 დეკემბერს, კოტე მესხის საიუბილეო წარმოდგენის დღეს, იუბილიარს ქალაქის თვითმართველობის სახელით მიულოცოს.

✦ **საჩივარი.** არქიტექტორმა კარაპეტოვმა საჩივარი შეიტანა ტფ. გუბერნატორთან ქალაქის არქიტექტორ მარკაროვზე, მოვალეობის ასრულების დროს ბოროტმოქმედებას სჩადის, რაც გამოიხატება იმაში, რომ სხვა-და-სხვა პირთ უკანონოდ აძლევს ქალაქში სახლის აშენების ნებასა.

✦ **თავდასხმა.** 2 დეკემბერს, ღამის 11 ნახ. საათზე, რიყის ქუჩაზე, თავს დაეცნენ ვიღაც უცნობნი ხორაგეულობის მაღაზიის პატრონის გიორგი ივანეს ძე ფიქრიშვილსა და იაგორ იოსების ძე აივაშვილს, რომელნიც სახლში ბრუნდებოდნენ. უცნობნი შეიარაღებულნი იყვნენ. მოინდომეს გაძარცვა, მაგრამ ფიქრიშვილმა და აივაშვილმა გონება არ დაჰკარგეს, ერთს უცნობს ხელი ჩაავლეს და ყვირილი მორთეს. ყვირილზე მორიგე პოლიციელი მოვიდა. სამი უცნობი უკვალოდ მიიმალა. მეოთხე შეიპყრეს. თავის თავს პატარძეულის მცხოვრებს ნიკოლოზ ზაქარიას ძე ელორდაშვილს უძახის; აღმოაჩნდა „ბრაუნინგის“ სისტემის რევოლვერი შვიდის პატრონით.

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი: „გ. ერისთავის რჩეული ნაწარმოებნი“, გამოცემა დავ. კილოსანიძისა. წიგნი ორას გვერდს შეიცავს და ღირს სამს აბაზად.

✦ **გადასახლებული.** 2 დეკემბერს ქალაქის მეშვიდე უბნის ბოქაულმა ტფილისში შეიპყრო სოფ. საგარეჯოს მცხოვრები დიმიტრი სოლომონის ძე ხატიაშვილი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნდა.

✦ **უცნობი კაცი რკინის გზის უფროსთან.** 2 დეკემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსს ნეიგებაურთან მთხოვნელთა მიღების დროს მივიდა, სხვათა შორის, ერთი უცნობი, რომელმაც წესისამებრ წინადვე არ მოისურვა დასახელება, რა სათხოვარი ჰქონდა. უფროსის ბრძანებით, უცნობი კაბინეტში მიიწვიეს, სადაც უკანასკნელმა მეტად ხმა-მაღლა დაუწყო ლაპარაკი უფროსს და მოსთხოვა დაუყოვნებლივ სამსახურში მიღება, მაგრამ უარი მიიღო. მაშინ უცნობმა ყვირილი და მუქარა მორთო და მაგიდაზე მუშტი დაარტყა. რკინის გზის უფროსმა თავის მცველს კაზაკს შირიაევს დაუძახა და უცნობის გარედ გაყვანა უბრძანა. როცა მცველს გარედ მიჰყავდა, უცნობმა დრო იპოვა და უცებ სწვდა ტარში მცველის ხანჯალს და ამოძრობას აპირებდა, მაგრამ ჩქარა გაჩნდნენ ჩაფრებიც და ხელი გააშვებინეს. უცნობი შეიპყრეს. ის აღმოჩნდა ყინმე ოდიშელიძე, ჯულფის რკინის გზის მემანქანედ ნამყოფი.

✦ 2 დეკემბერს შუადღისას, ავლაბრის ხიდიდან მტკვარში გადავარდა და დაიხრჩო ვიღაც უცნობი ქალი, დაახლოვებით 45–70 წლისა. იგი თათრის ქალს ჰგავდა.

✦ 2 დეკემბერს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო 20 უპასპორტო.

## ხმა სემინარიიდან

ტფილისის სასულიერო სემინარიაში 30 ნოემბერს, ეკლესიის დღესასწაულის დღეს, მოწაფეებმა „ლიტერატურულ—მუზიკალურ—ვოკალური“ საღამო გამართეს, სადაც წაკითხულ იქნა რამდენიმე ლექსი ქართულ-რუსულ ენებზედ. მშვენივრად წაიკითხა ბ. მარგიანმა „მერანი“ ნ. ბარათაშვილისა. აგრეთვე კარგად წაიკითხეს ლექსები მამულაიშვილმა, ვ. გორგაძემ, სეროვმა და სხვებმა.

ბევრი აცინა ხალხი რუდენკომ, რომელმაც წაიკითხა ჩეხოვის „лекція о табакѣ“ და ბ-ნ ყურუშაძის სცენებმა გურიის ცხოვრებიდან, რომელიც წაიკითხა არველაძემ... მადლობის ღირსია ბ. ი. კარგარეთელი ხოროს მომზადებისათვის. იმღერეს თვით ბ. კარგარეთელისაგან ნოტებზე გადაღებული სახალხო ლექსები „მოჰკლეს ილია“, „წყალსა მოჰქონდა ნაფოტი“, „ოთხმოცი წლის ბებიო“ და სხვები.

საღამო ორი განყოფილებისაგან შესდგებოდა, რომელთა შუა მუზიკა უკრავდა.

ბოლოს ევროპიულ—ქართული ცეკვა გაიმართა.. მოწვეული საზოგადოება ფრიად ნასიამოვნები დარჩა. 30 ნოემბერს ჩვენი მხიარულება დაგვირგვინა ქართულ კაზმულ ლიტერატურის მასწავლებლად დანიშნულ, ბელეტრისტ ბ-ნ ვ. ბარნოვის ჩამოსვლამ. **Baron.**

## პატარა ფელეტონი

## ქარაფშუტა ჩხიკვი

(იგავი)

ახალი გაზაფხული იყო, როდესაც თავ-თხელა ჩხიკვი გადახტ-გადმოხტოდა ხის ტოტებზე და თავმომწონედ გაიძახოდა:

—„ჩხინკ, ჩხინკ! ჩემისთანა ტყუილია! ყველაფერი ვიცი! რომელ ენას იტყვით, რომ იმ ენაზე არ დავილაპარაკო! ყველა ფრინველებისა და ცხოველების გამოძახილი ვიცი: ძერისა, ყვავისა, კატისა, ბატკნისა, და ვინ მოსთვლის—კიდევ რომლისა!“.

იქვე ხის ქვეშ იდგა უმანკო ბატკანი და ჩხიკვის ბაქიობას ყურს უგდებდა.

ვერ მოუთმინა გულმა და ჰკითხა:

—„ჩხიკვო, ჩხიკვო! მართალია, რასაც ამბობ, მაგრამ ერთი მითხარ: ყველას ენა რომ იცი, შენი ენა რომელიღაა? არავის გაუგია, რომ შენ საკუთარი ძახილი იცოდე“.

—„რა საჭიროა ჩემი საკუთარი ენა-ძახილი, როდესაც ყველას ძახილს ვაჯავრებ, აი თუნდა შენსას და გამოაჯავრა:

—„ბეეე“!

—„აი, შე უბედურო! მართლა ჩხიკვი ჰყოფილხარ. ჩემი ძახილი „ბეეე“ კი არა, „მეეე“ არის, შენ კი ეს არა გცოდნია. ჩემი „მე“ სჯობნებია შენს შერეულ გაუგებარს „ჩხინკ, ჩხინკ“-ს, უპასუხა უმანკო ბატკანმა ქარაფშუტას და თავ-გაქნევით ბალახის ძოვნა იწყო.

ჩხიკვი მუდამ იძახის: „სხვისა, სხვისა!“

ბატკანი კი: „მეე, მეე“! **ილთ.**

## წერილი თელავიდან

**საეკლესიო გალობა და თელავის სამღვდელოება.**

თელავის სასულიერო სასწავლებელში ქართულ გალობის დაქვეითებაზე ამ ბოლო ხანს გაზეთებშიაც იყო აღნიშნული, რომ ეს საგანი ვერ არის თავის რიგზე დაყენებული, ნაკლები ყურადღება ექცევა და სხვა.

წინად, როდესაც ქართული გალობა ამ სასწავლებელში დაბლა საფეხურზე იყო დამდგარი და წირვა-ლოცვაზე სულ რამდენიმე საგალობელს ასრულებდნენ ხოლმე, ბევრად უკეთესად იყო მოწყობილი ქართული ხორო.

ამ ბოლო დროს, როცა ჩვენმა სამღვდელოებამ რეფორმები მოახდინა, შემოიღო მარტო ქართულ გალობის სწავლება და დააწესა სასწავლებლის ეკლესიაში ქართული წირვა-ლოცვა, რაც სასულიერო მთავრობამ დააკანონა კიდეც, ქართული გალობა და მგალობელთა გუნდი თითით საჩვენებელი უნდა გამხდარიყო, მით უმეტეს, იგი სავალდებულო საგნად არის მიჩნეული, რისთვისაც საკუთარი მასწავლებელი მოწვეული ჰყავთ, მაგრამ ჩვენდა სავალალოთ, ქართულს გალობას ამ ღირსეულ დონეზე დამდგარს ვერ ვხედავთ.

იმისდა მიუხედავად, რომ გალობის მასწავლებელს მღვდელს მიხეილ ელიზბარაშვილს გალობის ცოდნაცა აქვს და ნიჭიც, იგი ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევს. ჩვენის აზრით, ამის მიზეზი ის გარემოებაა, რომ მამა ელიზბარაშვილი მაცდურ მამმონის წყალობით, თუ სხვა მიზეზით, სხვა და სხვა თანამდებობითაა დატვირთული. იგი ჯერ ერთი—მღვდელია და წირვა-ლოცვას ასრულებს, მაშინაც-კი, როცა ვალდებული არ არის, მაგ., საშობაო-სააღდგომოდ, რისთვისაც მომღერალ მოწაფეთ იტოვებს, პატარა მრევლიცა ჰყავს; მეორე,—სასწავლებელში საქმის მწარმოებელია აქვე, მგონი, სხვა თანამდებობაც უჭირავს; მესამე—სამღვთო სჯულის მასწავლებელია თელ. ქალთა გიმნაზიაში იყო ამავე საგნის მასწავლებლად სადაც მგონი, თავი დაუნებებია; მეოთხე—აქ მდგომ ჯარის ნაწილში, თუ შემთხვევა მიეცემოდა, სიამოვნებით მწყემსობს და სხვა.

ყველა ამას ეჭვ გარეშე დრო უნდა და შეიძლება. გულითაც რომ ჰსურდეს მამა ელიზბარაშვილს სექტებურად გუნდის მომზადება, ზემო ნათქვამ პატივსადებ მიზეზებისა გამო მოეტევება.

ჩვენის აზრით მ. ელიზბარაშვილმა უმთავრესი ყურადღება თავის პირ და პირ მოვალეობას—ქართულ გალობას უნდა მიაქციოს, რისთვისაც, არა თუ მგალობელი გუნდი უნდა დააყენოს რიგიანად, და სხვა და სხვა საკონცერტო საგალობლების შესრულებით სასოება უნდა გაუღვიძოს მლოცველს და დაატკბოს მსმენელი ამენა, არამედ მოსწავლეთაგან უნდა შეადგინოს პატარ-პატარა მგალობელთა გუნდი, რომლებიც აქაურ ეკლესიებში იგალობებენ მცირე საფასურად. ეს მოსწავლეთათვისაც კარგია: შრომის ფასის მიღების გარდა, გალობაშიაც დახელოვნდებიან.

სხვა არა იყოს რა, მაგალითი მეზობელ სომხებისაგან მაინც ავიღოთ. ამათ საგანგებოდ მოიწვიეს მასწავლებელი და ამ ქამად სომხის სკოლას მოწაფეთაგან ისეთი ოთხ-ხმიანი ხორო ჰყავთ შემდგარი, რომ ქართველები სიამოვნებით მიდიან თელეთში გალობის მოსასმენად.

მგალობელთა გუნდი არც სხვა ქართულ ეკლესიებშია. თელავის საკათედრო ტაძარშია წინანდელ მოსწავლეთა მწყობრი გალობა, ზაქარია დიაკვნის მარტო ხმით შეიცვალა, რადგანაც მამა ივ. შიუკაშვილის მზარველობის ქვეშ მყოფი ამ ტაძრის სამრევლო სკოლაში კლასები დაკეტეს და გალობის მასწავლებელი სხვაგან გადაიყვანეს. მხოლოდ მამა შიუკაშვილის თანამოტრაპეზეს,—გალობის კარგის მცოდნეს და თვით უკეთეს მომღერალს—მღ. ე. მაისურაძეს ფიქრადაც არ მოსდის გალობის მოყვარე გუნდის შედგენა, ვინაიდამ მისი ყურადღება სავსებით მიპყრობილია სასამართლოს დარბაზისაკენ, სადაც მოწმებს აფიცებს და ქანქარს ითვლის. ისეთივე მოსაწყენი მედავითნის გაბმულ გალობა გვესმის სხვა ტაძრებშიაც, თუმცა ღვთაების ეკლესიაში მღ. პერტაიას მეოხებით ხან და ხან შემდგარა მომღერალთა გუნდი, მაგრამ ბოლო არ მიუდევნებია, რაც შეეხება პატარა ეკლესიას, მღ. ს. ალადაშვილს თავისი ეკლესია აღარც-კი აგონდება, მას თბილი ადგილი უშოვნია სამოქალაქო სასწავლებელში და ახლა სამინისტრო სკოლაშიაც ცდილობს... **ახთ.**

## ხმა ქუთაისიდან

**ქუთაისი.** ქალაქს ისევ ძველი ელფერი ადევს. მრავალ ადგილზე ქუჩები მოუკირწყლავია, ტრამვაი არ არის, განათებაც გვაკლია. წყლისაყვანზე ბევრი მითქმა-მოთქმა იყო, მაგრამ აქამდე არაფერი არ გაკეთებულა. სკეტინ-რინგი კი გააკეთეს, ნუ თუ ქალაქის მამები ყურს არ გაიბერტყენ და ჯეროვან ყურადღებას არ მიაქცევენ თავის საზოგადოებრივ დანიშნულებას.

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივი განყოფილება პირნათლად ვერ ასრულებს თავის მოვალეობას. იმ დროს, როცა ამგვარი განყოფილებები ყვირილასა, სამტრედიასა, ჭიათურაში აარსებენ წიგნთ საცავ-სამკითხველოებს, საკვირაო სკოლებს და სხვ., ქუთაისის განყოფილება მხოლოდ „ილიას“ საღამოს გამართვით კმაყოფილდება.

ცოტა რამ „ქუთ. ლისტოკ“-ზე. ამ გაზეთის მესვეურთ აქამდე ვერ შეუგნიათ რომ მათი ორგანო სრულიად ვერ აკმაყოფილებს ხალხის სულიერ მოთხოვნილებას, განა დღეს აქის შესახებ საჭიროა ლაპარაკი! ჩვენმა გაზეთმა არა ერთხელ და ორჯერ დაჰგმო რუსულად დაწერილი ქართული გაზეთები უგვანო მიმართულებისა გამო. ესევე ითქმის „ქუთ. ლისტოკ“-ზე. ბ. მკითხველი რომ უფრო დარწმუნდეს ამაში, გადაშალოს ზემოაღნიშნული გაზეთის ფურცლები და ჰნახავს, რომ იგი უშინაარსო იქნება. მხოლოდ მოსწავლე ახალგაზრდობაში თუ ვრცელდება იგი, რადგანაც მათი უშინაარსო ნაწერები იბეჭდება. **ქ. ლთხაანთხეველები.**

## წერილი კავკავიდან

**ოსები ამერიკაში. თერგის ოლქის დირექციის სანაცვლო მასწავლებელთა ჯამაგირების მომატება. ქართველ ინსპექტორის დანიშვნა. სალიტერატურო დილა ქართულ სკოლაში. პიესა „დამარცხებულნი“ ქართულ სცენაზე. მომავალი საღამო კავკავის ქართულ სკოლის სასარგებლოდ.**

ამ უკანასკნელ წლებში კავკავის ოლქის ოსთა შორის ძლიერ განვითარდა გადასახლება სამხრეთ-ამერიკისაკენ, რომელიც გამოწვეულია ხმებით, ვითომც უთვალავი სამუშაო და დიდი ხელ-ფასი იყოს სამხრეთ-ამერიკაში. ადგილობრივ რუსულ პრესაში არა ერთხელ აღინიშნა, რომ ამერიკაში გადასახლებული ოსები დიდ სიღარიბესა და სიმშილს განიცდიან. მათ შესახებ ადგილობრივ რუსულ გაზეთს შემდეგი ცნობანი მოუვიდა: ემიგრანტთა პარტია ალიასკაში მივიდა, სწორედ იმ დროს, როცა ადგილობრივ მუშათა ორგანიზაციებმა (იუნიონებმა) ომი გამოუცხადეს კომპანიის აგენტებს. როდესაც ამერიკელი მუშები გაიფიცნენ, კომპანიის აგენტებმა გადასწყვიტეს,—ოსებით ესარგებლათ და გაფიცულ მუშების მაგივრად მიეღოთ, ოსებმა თანხმობა განაცხადეს, შეიარაღდნენ და წავიდნენ იმ ადგილას, სადაც გაფიცულმა მუშებმა სამუშაოს თავი გაანებეს. რკინის გზის სადგურიდან მათ 400 მილამდე მოუხდათ ფეხით გავლა. როდესაც ოსები მადნის მაღაროებს მიუახლოვდნენ, მათ შემოხვდათ გზაზე ამერიკელ მუშათა პარტია, რომლებმაც წაართვეს მათ იარაღი, სცემეს და გამორეკეს. გადასახლებულ ოსების ერთ წყებას მეორე და მესამეც მიემატა. სულ რამდენიმე ათასმა კაცმა მოიყარა თავი. ყველანი, თურმე, სიმშილს განიცდიან. გარდა ამისა, იმათ სდევნის, როგორც ადგილობრივი მთავრობა, ისე მცხოვრებელნი.

გადასახლებულ ოსთა ერთ წყებას გადაუწყვეტია, სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ გემების კომპანიონებმა გადაჭრილი უარი უთხრეს წაყვანაზე. როცა ოსებს ვინაობას ჰკითხავდნენ, უპასუხებდნენ: „რუსები ვართო“. „თქვენ რუსები კი არა, არამედ რუსების მარცხვენელნი ხართო“,—ეტყოდნენ ამერიკელები.

ასეთ გაჭირვებაში ყოფილან სამხრეთ-ამერიკაში გადასახლებული ოსები. უნდა ვიგულისხმოთ, რომ არა ნაკლებ გაჭირვებაში არიან ისინი კავკასიაში, თორემ ამ სიშორეზე არ გადიხვეწებოდნენ.

თერგის ოლქის დირექციის სანაცვლო მასწავლებლები ჰყავს. ეს მასწავლებლები იმ შემთხვევაში იგზავნებიან ხოლმე სოფლად, როდესაც, რომელიმე სოფლის მასწავლებელი ავად გახდება, ან დროებით დაეთხოვება დირექციას. თერგის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორი სთხოვს თერგის ოლქის გამგეობას, რომ სანაცვლო მასწავლებელთ ჯამაგირები მოუმატონ და წლიურად 600 მანეთი დაუნიშნონ. თავის შუამდგომლობას დირექტორი იმით ასაბუთებს, რომ სანაცვლო მასწავლებელს ოლქის ყოველ ადგილებში წასვლა-წამოსვლა სჭირდებათ და ზედმეტი ხარჯი მოსდითო.

რას შვრებიან ამ მხრივ ტფილისისა და ქუთაისის დირექციები? იმათაც რატომ არა ჰყავთ ასეთი სანაცვლო მასწავლებლები? ნუ თუ საჭიროებას არა გრძნობენ? ამას-რა დიდი გაგება უნდა!..

პეტროვსკის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი ბ. პეტრე კონჭუხიძე თერგის ოლქის სახალხო სკოლების მესამე რაიონის ინსპექტორად დაინიშნა. იმედია, ადგილობრივ ქართველთა ცხოვრებაში თავის სასარგებლო წვლილს შეიტანს.

***

21 ნოემბერს კავკავის ქართულ სკოლის დარბაზში სალიტერატურო დილა გაიმართა. ყველა განყოფილების ზოგიერთმა მოწაფეებმა წაიკითხეს ქართული და რუსული ლექსები და მოთხრობები. პატარა მოწაფეებმა ითამაშეს საბავშვო კომედია „მონადირე“. შემდეგ მოწაფეთა რამდენიმე გუნდმა ქართული და რუსული სიმღერა შეასრულა; დასასრულ, ცეკვა გაიმართა. ქართველი საზოგადოება საკმაოდ დაესწრო.

21 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე აქაურ ქართულ თეატრში გაიმართა აგრეთვე წარმოდგენა. ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქმნა ირეთელის 5 მოქმედებიანი დრამა „დამარცხებულნი“. მონაწილეობას იღებდნენ: ქ-ნნი: მოზდოკელოვისა, ა. წერეთელი, ფუასი, ბ. ბ. ნ. ყაზბეგი, კაკაბაძე, კახიანი, კერესელიძე, მოზდოკელოვი, სარაჯიშვილი, ჩხუბიანი, ბერიშვილი, რამანიშვილი, ცისკარაული, ფრუიძე, შუშიაშვილი, ლეჩხუმელი და სხვები. ხელოვნურად დაგვიხატა დედის როლი ქალ. ფუარისამ. მისი მიმიკა და დიქცია მაყურებელზე დიდს შთაბეჭდილებას ახდენდა. კარგი იყო აგრეთვე ა. წერეთელი, ქეთოს როლში. ბაღდანიძის როლში რიგიანი იყო ყაზბეგი. კარგად შეასრულეს აგრეთვე თავიანთი როლები ბ.ბ. კაკაბაძემ, სარაჯიშვილმა, მოზდოკელოვმა და კახიანმა, უკანასკნელმა ბევრი აცინა დამსწრე საზოგადოება, ბაღდანიძის მოსამსახურის როლში. მშვენიერი მიმიკა და დიქცია ჰქონდა, იმერულ კილოზე ლაპარაკობდა. დანარჩენებსაც არა უშავდა რა. საზოგადოება ბლომად დაესწრო და ნასიამოვნები დარჩა. სულ 77 მან. 90 კ. შემოვიდა. ამ ფულებში ბიუჯეტის შემოსავლიცაა ნაანგარიშევი, წმინდა შემოსავალი დარჩა 33 მან. 6 კ. აზრად აქვთ, ეს ფულები თეატრის საჭიროებისათვის გადასდონ.

აქაურ ქართულ დრამატიულ საზოგადოების წრე ფიქრობს, ყოველ წლიწადს 12 წარმოდგენა მაინც გამართოს ხოლმე. წარმოდგენის შემოსავალი სკოლას უნდა მოხმარდეს და წარმოდგენისა კი—თეატრს.

კავკავის ახლად გაფურჩქვნილ საზოგადოებას, დასასრულ მიზნის განხორციელებას ვუსურვებთ.

***

1910 წლის, 16 ნოემბერს, საშობაო საღამოს გამართვისა და სხვა კითხვების გასარკვევად იოს. გ. შვილიევის თავმჯდომარეობით კრება მოხდა. წაკითხულ იქმნა ქალაქის მოურავის შეკითხვა: ქართულ სკოლის გამგეობას ჰსურს თუ არა გამგეობის ქალაქის ხმოსნების არჩევაში მონაწილეობა მიიღოს; თუ ჰსურს, სკოლის გამგეობამ ყოველ წლიურად მასწავლებლების ბინის გადასახადი უნდა შეიტანოს და ძველი წლის დარჩენილი გადასახადიც. კრებამ დაადგინა: ხმა იქონიოს და ხვედრი ფული გადაიხადოს. კრებამ ითათბირა ამაზედაც, საშობაო საღამო სკოლის შენობაში გამართოს, თუ კლუბში: ამ საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია. უმეტესობა მომხრე იყო საღამო ეხლაც და ყოველთვის სკოლის შენობაში გამართულიყო. ზოგიერთები ამტკიცებდნენ: „ჩვენს შენობაში გამართულ საღამოს სხვა ეროვნების ხალხი, ნაკლებად ესწრება და ბ. ი. შვილიევმა სთქვა: „ჩვენ საკუთარი შენობა გვაქვს, სადაც მოთავსებულია სკოლა, თეატრი, წიგნთ-საცავ-სამკითხველო და ეკლესია. ჩვენი ინტერესი მოითხოვს ყოველ შემთხვევაში. და ყოველ დროს ამ დაწესებულებათა შენობაში იყრიდეს თავს კავკაველი ქართველობა, მე სამარცხვინოდ მიმაჩნია კლუბში ქართულ საღამოს გამართვა. კრებამ დაადგინა: ეხლაც და ყოველთვისაც საღამო გამართულ იქმნას ხოლმე სკოლის შენობაში. საღამოს გამგეებად აირჩიეს: თავ. იას. ლორთქიფანიძე და ტ. ბ. კახიძე; გამმართველ კომისიად: ი. გ. შვილიევი, გრ. მ. ბურდული, იკ. დ. მაისურაძე, სკ. მ. ჩითაევი, ზ. ლ. კეკნაძე, ბ. ს. როინაშვილი.

დაადგინეს აგრეთვე ეთხოვოთ: კნ. ნ. ლორთქიფანიძისას, ტ. ბ. კახიძისას, მ. დ. კალანდარაშვილისას და თ. ი. ფუასისას საღამოს გამართვაში მონაწილეობა მიიღონ.

ტ. ბ. კახიძემ წინადადება შემოიტანა, ბუფეტისათვის სანოვაგე ბაზარში არ შეკრიბონ, არამედ—ოჯახებში. კრებამ ეს წინადადება მოიწონა.

ნ. ყაზბეგმა წინადადება შემოიტანა საღამოზე „გასამართლება“ გამართონ, კრებამ ეს რჩევაც მოიწონა. **დარჩენილი კაცი.**

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

**ქართული მწერლობა საკლასოდ სახელმძღვანელო ქართულ მწერლობის შესასწავლად. წიგნი I. თ-დი გ. დ. ერისთავი, რჩეული თხზულებანი, გამოცემა დავ. დ. კილოსანიძისა.**

ქართული მწერლობა სახელმძღვანელოებით არც თუ ძალიან ღარიბია. მაგრამ ქართული ენისა და მწერლობის—ისტორიის მასწავლებელი ძალიან ხშირად უხერხულობაში ჩავარდება ხოლმე, რადგანაც ბევრი დარგისთვის შესაფერისი წიგნები არ მოეპოვება. წმინდა სახელმძღვანელოების გარდა მასწავლებლებისთვის საჭიროა ზედმეტი ისეთი საკითხავი წიგნი, რომელიც სახელმძღვანელოების როლს ითამაშებს. ასეთ წიგნად უნდა ჩაითვალოს ბ-ნ დავ. კილოსანიძის გამოცემა: გ. ერისთავის თხზულებანი. კარგი ხანია, რაც გამოიცა და, მგონი, გასაყიდად არც კი მოიძებნება. ეს კი რომ არ იყოს; სრულ თხზულებათა ყიდვა ზედმეტი ხელ-მოკლე მოსწავლისათვის ხშირად შეუძლებელი ხდება, უწიგნოთ სწავლა კი მოუხერხებელია. ამისთანა შემთხვევებისთვის საჭიროა ხდება მწერალთა რჩეულ ნაწარმოებების გამოცემა. ბ-ნ კილოსანიძის წიგნიც შესაფერისი, ამნაირის მიზნით გამოცემული. კარგს მოხერხებულ წიგნში (199 გვ.) მოთავსებულია რჩეული ლექსები გ. ერისთავისა, რიცხვით თორმეტი, სამი დრამატიული ნაწარმოები („გაყრა“, „დავა“ და „შეშლილი“) და მასალა ავტორის შესწავლად. მასალა ხუთის წერილისაგან შესდგება: „ბიოგრაფია თ-დი გ. ერისთავის“, ა. ხახანაშვილისა; „ფოლადი თუ ტალს არ მოხვდა, ისე ნაპერწკალს ვერ გაჰყრის“, აკაკისა; „თამაშობა და თეატრი საქართველოში“, ა. ხახანაშვილისა; „თ-დი გ. ერისთავის კომედიების განხილვა“, მისივე; თ-დი გ. ერისთავის თხზულების განხილვა“, ი. მეუნარგიასი.

წიგნი, როგორც ზევითაც ვსთქვით, ორას გვერდამდეა, დაბეჭდილია მშვენიერს ქაღალდზე და სულ ღირს სამ აბაზად. როგორც სათაურიდანა სჩანს, ეს პირველი წიგნია; მაშასადამე, გამომცემელი სხვა წიგნების დაბეჭდვასაც აპირებს. განზრახვა ფრიად სიმპატიურია, და ჩვენც სიამოვნებით ვეგებებით. **არ. ჯ—შვილი.**

## იამავრი

(მასალა ქართ. ბიბლიის შესასწავლად)

„რამე თუ ასული მარტოდ ესოვა მას და ხაზული მისი იამავრი“. ქვე გახაზული სიტყვები გვხვდება მხო-

ლოდ ქსნის სახარებაში (ლუკა, 8, 42). იგი არ არის აგრეთვე ტიშენდორფისეულში, ნესტლისეულში, ბეზასეულში, ოსტერვალდისეულში, არც ლიუტერისეულში და არც სომხურში. ჩვენ გვეგონა, **იამავრი** მართლა სახელიაო—შესაკრებლის მთავრის იაიროსი, მაგრამ სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონია ამ ლამაზ სიტყვას.

ბიბლიის ახალ ვარიანტებში იამავრი=იამავარი გვხვდება წიგნში „ტობისი". (6,15 და 8,19).

ტობის წიგნის სომხური ტექსტი (ვენეტიკის გამოც. 1805 წლ.) მიჰყვება სლავიანურსა (თარგმ. ბერძნ. **ალექსანდრიულიდამ**) და რუსულს (გადმოღ. **ებრაულიდამ**) და სრულიად არ შეეფერება ქართულ ბიბლიის ვარიანტების განწყობილებას შეად.

**„Тогда юноша сказалъ Ангелу: братъ Азарія, я слышалъ, что эту дѣвицу отдавали семи мужамъ. но всѣ они погибли въ брачной комнатѣ** (სლავ. **въ невѣстницѣ); а я одинъ у отца и боюсь, какъ бы, вошедъ къ ней, не умереть подобно прежнимъ; ее любитъ демонъ** (აქ სომხურში: „რამე თუ ჰყავს ქალი ეშმაკს და ჰყვარობს მას"), **который никому не вредитъ, кромѣ приближающихся къ ней. И потому я боюсь, какъ бы мнѣ не умереть и не свести жизнь отца моего и матери моей печалью обо мнѣ во гробъ ихъ; а другаго сына, которой похоронилъ бы ихъ, нѣтъ у нихъ** (тов. 6. 14—15).

ჰრქუა ტობია: მასმიეს, ძმაო, მისთვის, რამე თუ მიცემულ არს იგი ქმართა და მოსწყდიან იგინი სასძლოსა შინა მათსა ღამე რა შევიდიან მისსა. იტყოდეს ვინმე, ვითარმედ ეშმაკმან მოსრნის იგინიო. და აწ მეშინის მე მისგან, რამე თუ ჰყუარობს ეშმაკი იგი და მას არა ავნის, არამედ უკეთუ ვინმე მიეახლის, მოკლას. ნუ უკუ მოვკუდე და შთავვიდაო სიბერე მამისა და დედისა ჩემისა სალმობით საფლავსა მათსა, რამე თუ **იამავარი** ვარი მე და ძე სხუა ვინა ასული არა უვის, რათა დაჰფლნეს ვინ იგი.

ასეა ეს ქართ. ხელნაწერებში №-ები 570, 646 და 51. ათონის 978 წელს გადაწერილში (№471) იამავრი არ არის, დანარჩენი კი აქაც იგივეა, რაც ხსენებულს სამს ხელთნაწერში. თვით ქართ. დაბეჭდილიც აქ არ ეწყობა, არც დანარჩენ ქართ. ვარიანტებს და არც სლავიანურსა, რუსულსა და სომხურს, იამავრი ხომ სულაც არ იხსენიება და მის მაგიერობას ასრულებს **ერთი**.

იგივე **იამავრი** გვხვდება კიდევ ერთხელაც ამავე წიგნში (ტობ., 8, 17). იმავე მეექვსე თავში მოხსენებულ პირისა და მის ცოლის სარას შესახებ აქ სწერია:

„აკურთხენ ორნი იამავარნი"

**სლავ.**: „Помиловалъ єсли двоихъ единородныхъ".

**რუს.**: „Помиловалъ двухъ единородныхъ".

**სომხ.**: „ვოლორმეცარ ერკოცუნც მიამორუცს"

**ქართ. დაბეჭდ.**: „მოწყალე იქმენ ორთავე მათზედა" (ტობ. 8, 19).

ცხადია „იამავრი" ყოფილა იგივე სლავ.-რუსული **единородной** და სომხური მიამორ (=მარტო-დედის, ე. ი. დედას ერთა). №646 აშიაზე განმარტებულია: „იამავრი, მხოლოდ—შობილი". სულხან-საბაც, იმოწმებს-რა ტობის წიგნის მეექვსე თავს მე-15 მუხლის, ამბობს, იამავრი არის ხოლოდ შობილი.

მაშასადამე ქსნის სახარების „რომლისა სახელი იამავრი" უნდა იყოს იგივე „რომლისა სახელი „ხოლოდშობილი" =დედისერთა=ჭარუმადათი=უჭარმაჭარი (უწერულ-მოწერული), ე. ი. ის ერთად ერთი იამარტო (იამავრი), რომლის ამარს დარჩენილან მისი დედა და მამა.

**მ. ჯანაშვილი.**

# მოწერილი ამბები

**ბელაგორი.** 25 ამა ნოემბერს ადგილობრივ ორ—კლასიან სამინისტრო სკოლაში, რევიზია მოახდინა ქუთაისის სახალხო სკოლების ინსპექტორმა ეგნატე სულაკოვმა. ორი წელიწადია, რაც ის ჩვენი რაიონის ინსპექტორად დაინიშნა. წასულ წელს პირველად მოახდინა მან რევიზია და, რადგან აქ სწავლა 81 წლის გეგმით სწარმოებდა, პირველ განყოფილების მასწავლებელს დაავალა, დაუყონებლივ შესდგომოდა რუსულ წერა-კითხვას (სარევიზიო წიგნშიდაც ჩასწერა). მაგრამ მისი განკარგულება უყურადღებოთ იქნა დატოვებული. წელს პირველ განყოფილებში სწავლება იმავე გეგმით სწარმოებდა. ამ გარემოებამ ინსპექტორი გააჯავრა და ლანძღვა-გინების შემდეგ, მასწავლებლებს სარევიზიო წიგნში ჩაუწერა: თუ რუსულ წერა-კითხვას არ შესდგომიხართ, სამსახურიდან დაგითხოვთ ზედამხედველსაც და განყოფილების მასწავლებელსაც. იმდენად გაბრაზდა, რომ მასწავლებლებს ადარც კი გამოეთხოვა და სადგურზე გასწია. უმეტესად კიდევ გააჯავრა იმ გარემოებამ, რომ ადგილობრივ ქალთა სკოლის მასწავლებელი ქალი პირველ დღიდანვე ბავშვებს რუსულ ენას აწვებინებს, რომლის შესახებ თავის დროზე კიდეც ვსწერდი გაზეთში. მასწავლებლები ეხლა უკიდურეს მდგომარეობაში არიან—თუ ინსპექტორის განკარგულებას არ შეასრულებენ, დათხოვნილ იქნებიან, თუ შეასრულებენ—ბავშვების წინაშე მოვალეობის დამგმობნი. სასურველი იქნება, რომ ბ-ნი ი. კოგებაშვილი, ან ვინმე სხვა ამის გამო მამართავდეს ნამესტნიკს, რადგან ბევრი სხვა მასწავლებლებიც ამ გვარად იტანჯებიან და შიშით ხმა ვერ ამოუღიათ.

**ბელაგორელი.**

---

**ფოთი.** უცხოფერს რო თავი დაგანებოთ ფოთელები იმაში მაინც ბედნიერი ვიყავით რომ აქ „ჭეშმარიტ რუსთა" კავშირის ნიადაგი არ ჰქონდა დრო გამოიცვალა და, წარმოიდგინეთ, აქაც უკვე აშკარათ გხედავთ ზემო-აღნიშნულთ მჭიდრო კავშირს. ამათ პარტიაში საზღვარი არ აქვს. ამაში თვით აქაურ საზოგადოებაა დამნაშავე. ჩვენ, საზოგადოდ, მეტის-მეტი სტუმართმოყვარენი ვართ. ვინმე ახალი მოხელე რო გვესტუმრება თავზე ვისვამთ, პატივსა ვცემთ ყოველგვარ საზოგადოსაქველმოქმედო და განმანათლებელ დაწესებულებაში წევრებად ვირჩევთ და ბოლოს ვხედავთ ჩვენს უბედურებას,—ეს ჩვენგან მოწონებული „უცხო სტუმრები" ჩვენვე გვირტყავენ ცხვირპირში. წარმოუდგენელია, მათი უდიერობა რა ზომამდე მიდის. ასეთი არის ბ-ნი სმირნოვი (ბეთალი), რომელიც ჩამოსვლისათანავე არა ერთ და ორ საზოგადოების წევრათ აირჩიეს: განმანათლებელ საზოგადოების, მშობელთა წრისა, წიგნთ-საცავ-სამკითხველოსი და სხვა. ამ ვაჟბატონს იმის მაგიერ, რომ დაეფასებინა მისდამი საზოგადოების პატივის ცემა,—მოსდხა და ლანძღვა გინება დაუწყო მას. აგრეთვე დიდი ხანი არ არის რაც აქ ჩამოვიდა ბ-ნი გუსიევი (ხარჯთ-მკრეფი ინსპექტორი), რომელიც ეკრეთვე პატივის ცემით მიიღო საზოგადოებამ და რომელიც რამოდენიმე საზოგადოების წევრია. მაგრამ დახეთ, მას ვერ წარმოუდგენია, თუ ფოთში მცხოვრები ქართველი, ქართულად რად ლაპარაკობს. ვაჟბატონს ერთ საპატიო საზოგადოებაში იმდენი უტიფრობა გამოუჩენია, ისიც არაფით გალეშილს, რომ ერთი ქართული სიტყვის ალიაქოთი აუტეხნია და ერთ ყველასაგან პატივცემულ პირისთვის სიტყვით შეურაცყოფაც მიუყენებია. ასეთივეა ბ-ნი დავროვი (ტუის გამგე „ლესხიბი"). რომელსაც, როგორც ამბობენ, ზემო აღნიშნულ პირთა წაქეზებით, მთელ მის რაიონში ქართველი მოსამსახურეების დითხოვნა განუზრახავს და სხვა ასეთები... ამათ გარდაც ბევრია აქ, როგორც უმაღლეს ისე უმდაბლეს წრიდანაც, ამგვარ იდეებით გამსჭვალულნი. ასეთია ამ კაცთ-მოძულე ვაჟბატონების მოქმედება და მასთან ფრიად სამწუხარო, რომ მაღალ განათლებით დაჯილდოვებული ადამიანები ამგვარი ქვენა აზრებით ხელმძღვანელობენ. ამათი საქმეა: არაფი, ქართველების გინება და კინკლაობა. ერთ ასეთ ალიაქოთისთვის, რომელიც მოახდინეს ადგილობრივ საკრებულოში, საზოგადო კრებამ ბ-ნი სმირნოვი „გამოაბუნძულა" საკრებულოდან. დროა ჩვენმა საზოგადოებამ გაითვალისწინოს უველა ეს და წინდახედულად მოეპყრას ასეთ ადამიანებს, მართალია ასეთ კავშირს იქ ნიადაგი მუდამ შერყეული ექმნება და დიდ ნაყოფს ვერ გამოიღებს, მაგრამ მოვლენა მაინც არა სასურველია.

ვიმეორებ ჯერ ადამიანის გაცნობა საჭიროა და მერე მასთან დამეგობრება.

**ნემეზიდა.**

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** 2 დეკემბერი. პირველად წარმოდგენილ იქმნა ნიჭიერ ბელეტრისტის დ. კლდიაშვილის ორ მოქმედებიანი მხიარული კომედია სოფლის ცხოვრებიდან „ირინეს ბედნიერება". მშვენიერი იყო აბესალომის როლში ბ-ნი ბუდუ მდივანი რომელმაც უნაკლულოდ დაგვიხატა თავ გასული, ოჯახის მახინჯი წევრი, იმერელ აზნაური აბესალომი. სრული განხორციელება იყო ქმრისგან დატანჯულ ირინესი—ქ-ნი ლოლუა, რომელიც, ეჭვი არ არის, ჩვენს სცენაზე ძალიან ჩქარა ერთს საპატიო ადგილს დაიჭერს. დანარჩენნი არტისტები, განსაკუთრებით ვ. შალიკაშვილი, თავ-თავიან ადგილს იყვნენ.

დასასრულ წარმოდგენილ იქმნა ერისთავის ცნობილი კომედია „დავიდარაბა", რომელმაც ჩვეულებრივ ცოცხლად ჩაიარა.

დღეს წარმოდგენილ იქმნება, ა. შვეიერის 4 მოქმედებიანი დრამა „ნიშანი ყოფაქცევაში", რომელმაც საზოგადოების ყურადღება უკვე დაიმსახურებული აქვს.

# უცხოეთი

**საერთაშორისო მშვიდობიანობა:**

ამას წინად შეერთებულ შტატების კონგრესმა დაადგინა, ამოირჩიოს კომისია და დაავალოს ნიადაგის მომზადება საერთაშორისო მშვიდობიანობის დასამყარებლად. განზრახულია შემცირებულ იყოს მთელის ქვეყნის სამხედრო ხარჯი და განსაზღვრულ იქმნეს მხედრობის რიცხვი კონგრესის აზრით, ამ მშვიდობიანობის დაცვისათვის უნდა ზრუნავდეს მთელის ქვეყნის გაერთიანებული ფლოტი. 24 ნოემბერს პრეზიდენტს ტაფტს წაუკითხავს თავისი მოხსენება, რომლიდან სჩანს, რომ უკვე დაწყებულა ამ საქმის გამო მოლაპარაკება დიდ სახელმწიფოებთან.

**გერმანიის ბიუჯეტი.**

რეიხსტაგს უკვე წარუდგინა განსახილველად ბიუჯეტი; რომელშიაც გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროს ერთის მილიონის მაგივრად 1.3000 ათასი მარკა შეუტანია „საიდუმლო თანხის" სახით. ასეთივე მუხლი რეიხსტაგში შარშანაც იქმნა შეტანილი, მაგრამ არ იქმნა მიღებული. ზოგიერ გაზეთის სიტყვით, ამ ფულის გადადება სამინისტროს სურს უცხო სახელმწიფო პრესის საშუალებით გერმანიაზე ვისიმე გამოლაშქრებასთან საბრძოლველად.

„საკმარის თანხის გადაუდებლად,—ამბობს თავისუფალ კლერიკალთა გაზეთი „პოსტ"-ი,—გერმანიის საშუალება ერთმევა „გააჩუმოს" უცხოელთა პრესა. ჩვენ თვალწინ გვაქვს საუკეთესო მაგალითი საფრანგეთისა, რომელიც იტალიის პრესის საშუალებით სცდილობს, სამხედრო იტალია სამთა კავშირის წინააღმდეგ."

**შეტაკება ვადაიში.**

ფრანგული გაზეთები დაწვრილებით ცნობებს გადმოგვცემს სასულთნო მასალიტის სატახტო ქალაქ დროჟელეს მახლობლად მდებარე ვადაიში მომხდარ შეტაკებისას!

ფრანგთა ჯარს, რომელსაც მეთაურობდა პოლკოვნიკი მოლლი, დაეცნენ სულთანები ტადრიანი და დიდმური. გაიმარჯვეს ფრანგებმა, თუმცა გამარჯვება ძვირად დაუჯდათ. მთავრობამ წინადადება მისცა პალატას, დაეუფლოს ოჯახობას თანაგრძნობა და პალატის გავგორგება გადასცეს. მინისტრ-პრეზიდენტი და ახალშენთა მინისტრი განაცხადებენ, რომ ის ადგილები, რომელნიც ფრანგთა სისხლით არის მორწყული საფრანგეთის ხელშივე უნდა დარჩეს.

ფრანგების დანაკარგი: 47 მოკლული, 73 დაჭრილი, 12 უკვალოდ დაიკარგა. მოლლი, რომელიც მოკლულ იქმნა 300 მსროლელი ჰყავდა. ხოლო თავდამცემნი 5,000 კაცზე მეტი იყვნენ.

# წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივცემული გაზეთის საშუალებით ნება გვიბოძოთ, რომ უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ბ. იოსებ ხატუას ძე ლორთქიფანიძეს, რომელმაც არ დაიშურა თავისი შრომა და ღვაწლი და ნაცნობებთა შორის შეაგროვა ქ. ბაქოში რვა მანეთი და ორი შაური (8 მან. 10 კაპ.,) ვანის უფასო წიგნთ საცავ სამკითხველოს სისარგებლოდ; და აგრეთვე უღრმეს მადლობას ვსწირავთ იმ პირთაც, რომელთაც კეთილ ინებეს და არ დაიშურეს თავიანთი წვლილი ამ დიად დაწესებულების სასარგებლოდ; აი შემომწირველთა სია: იოსებ ლორთქიფანიძემ 1 მ., ლეონტი დათეშიძემ 1 მ. ათ-ათი შაური, ექვთიმე ხუციევმა, ალქსანდრემ ბერიძემ: ი. გოცირიძემ, ლ. ჯიქიამ, ი. ქოქსაშვილმა, მიკუტიჩ მიკუტიჩოვმა, მელიტონ დათეშიძემ. ექვს-ექვსი შაური: ლევან ჯიქიამ, რაფიელ ლასხიშვილმა, კოწია ჯაშიაშვილმა, ნიკოლაი ტერ-ნიკოგოსოვმა. თითო აბაზი: ანტიპ იაროვმა, კაპიტონ ბაქრაძემ, ილია მერკვილაძემ, შაქირა ბერიძემ, კასიონე ხუჭუამ, ილარიონ არხიპოვმა და ალექსანდრე ვარტანიანმა.

ვანის სამკითხველოს გამგენი **გიორგი ნამიჩეიშვილი და ალექსანდრე ხანადირაძე.**

---

ბატონო რედაქტორო! „სახალხო გაზეთის" მე-160 ნომერში ამოვიკითხე სოფ. გურჯაანიდან მოთავსებული წერილი მიხეილ მაიერისა, რომელიც ს. გურჯაანის მეაფთიაქე ივანე ნიკოლოზის ძე ბ. უზნაძეს ეხება.

ბატონი მიხეილ მაიერი სწერს, რომ ბ-ნ ი. უზნაძეს აფთიაქში თითქმის დამბლა დაცემული ფერშალი სცხოვრობს, რომელიც ლოთობსო. ამაზე მეც დავეთანხმები ბ. მაიერს. მაგრამ, როგორც ბ. მაიერი სწერს, ვითომც ხალხში ხმა დადიოდეს—პროვიზორი წამალში მეტ ფას ახდევინებსო,—მტკნარი სიცრუეა. ბ. უზნაძე რომ უსახლ-კარო, ბოგანო, დაავადებულ ფერშალს ინახავს,—მხოლოდ მადლობის ღირსია. ბ. უზნაძის დასახასიათებლად ერთს მაგალითს მოვიყვან, რაიც ჩემის თვალით მინახავს.

შორაპნის მაზრიდან გადმოსახლებულ (ალაზან გაღმა) ერთი მცხოვრებელთაგანი ისე დაავადმყოფდა, რომ ადგილიდან ვერ იძროდა. ბ-ნმა უზნაძემ თავის აფთიაქის შენობაში გაუმართა საწოლი, უსასყიდლო წამლით და კვებით ერთ კვირაზე ფეხზე დააყენა.

რაც შეეხება ბ. მაიერის სურვილს, რომ ფერშლობის უფლება ჩამოართვან ბ-ნმა უზნაძემ,—ეს უცნაური მოთხოვნილებაა. განა ბ-ნ უზნაძეს მიუცია ფერშლობის მოწმობა, რომ მან ჩამოართვას!!

**ნიკ. ახმეტელაშვილი.**

---

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გადავუხადო პავლე ცერცვაძეს, რომელმაც დიდი ნივთიერი დახმარება გამიწია, როდესაც დიდს გაჭირვებაში ვიყავი.

**გრიგოლ პავლეს ძე ძნელაძე**

---

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში დაბეჭდოთ შემომწირველთა სახელი, ჩემ მიერ შეკრებილი სოფელ ონტოფოში, განსვენებულ ილია ჭავჭავაძის ფონდისათვის.

გიორგის ლუკას-ძე 3 ა. ვ. ელენეა დიმიტრის ასული ავალიანისა 2 მ., ანდრია კვეკესკირი 1 მ. 50 კ., თეოფანე ნადარეიშვილი 1 მ. 50 კ., ნიკოლაი რობერტის ძე ბაგატელოვი 1 მ. ვლადიმერ მიხეილის ძე ხონტკირია 50 კ., ნესტორ ნიკოლოზის ძე ნადარეიშვილი 1 მ., მატრონა ნადარეიშვილისა 50 კ., ამასთანავე გააახლებთ 11 მანეთს.

**ელენე ავალიანისა.**


# განცხადებანი

◀ მშობიარეთათვის ▶

**თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.**

ოლგას ქ., ხაბეიბის ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრადა მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—4დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—27)

**დოქტ. ნავასარდიანისა**

ყოველ დღე, კვირეებს გარდა დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ნ. ა. ნავასარდიანი**: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი**: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი**: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი**: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბვეტისიანცი**: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი**. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი**: 1½—2 ს. შინაგ და ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანი**: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**თ. ვ. გეევსკაია-ენგელი**: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარცინევსკი**: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. ხამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ნ. ა. ნავასარდიანი.**

**გამოცდილი მასწავლებელი**

განაგრძობს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლებისთვის: გიმნაზიისთვის, რეალურ, კომერციულ, ტექნიკურ, სამოქალაქო, საფერშლო, რკინის გზის და სასულიერო სასწავლებლებისთვის, ამზადებს ყველა ხარისხის ჩინზე. ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე. მსურველს მიიღებს მთელ ხარჯზედაც—პ ა ნ ს ი ო ნ შ ი, რომელნიც არ იქნებიან აცილებულნი 15 წ. სწავლაში მონაწილეობას მიიღებს სხვა მასწავლებლებიც).

მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათ. საღ. 5—8 საათამდე. მეცადინეობა იქნება ორ ადგილას: ვორონცოვის ძეგლის მახლობლად და ნახალოვკაში, ავჭალის ქუჩაზე, ვაგზლის პირდაპირ.

ა დ რ ე ს ი: Авчальская ул. с. д. N 133, кв. 4. (въ Нахаловкѣ противъ вокзала). (თ—152—30)

◀ სამეურნეო ჟურნალი ▶

**მოსავალი**

**წელიწადი მეორე**

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო** თესლის გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція Мосавали".

**სასურათო ხურათებიანი ჟურნალი**

**„ნაკადული"**

(წელიწალი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:

**24** წიგნი მცირე წლოვანთათ. **12** წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიად 1. მარლეის აჩრდილი,—ჩარლზ დიკანსის მოთხრობა. მოთხრობაში იქნება ჩართული სურათები. 2. ქართული მხატვრული ალბომები კუბიკებზე.

**ფასი ჟურნალისა**: წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ღრივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ნაკადულის" რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში. თავად-აზნაურთა ქარვლაში).

ვ. უიფიანის დრამა

**სამეგრელოს მთავარი ლევან**

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევისა.

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „სახ. გაზ." რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.




**მ ო ი თ ხ ო ვ ე თ**

**სწორე და მკვიდრი საათები!**

**ნუ გამოეკიდებით იაფ-ფასიან საათებს. კარგ საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. პარიზის ახალი რამ.**

ორას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ კაცის უზმო საათები სამი სახურავით «ს ე ც ხ ი ა», რომლებიც სილამაზით და სიმკვიდრით ოქროს საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14% ოქრო აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამდვილი შვეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი ხმა აქვს, დაქოქვა 40 საათში ერთხელ, უგასაღებოდ. საათები ნამდვილი ახალი ოქროსია და თავის კარგ თვისებათა გამო დაჯილდოვებულია ოქროს მედალით და ხიკარგის ნიშნით". ფასი 5 მ. 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გასინჯავს ამ საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით წუთამდე გასწორებული 10 წლის პასუხის მგებლობით, ფას-დადებით და უბეოდ. გაგზავნა გადასახადით 40 კ. (ციმბირში 75 კ.).

ПАРИЖЪ 7 PARIS — S. Strumfeld Rue Mirbel 2 bis.

უფასოთ ვგზავნით ახალი ოქროს მშვენიერ მეწკვს ბრელოკით და ზამშიბუდით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დახურულ წერილზე უნდა დააკრათ 10 კ. მარკა, ხოლო ღია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე.

(Мецль N 53647). (34—15—10)

**სასტუმრო ნომრები ტფილისში**

ქალაქის შუა ადგილი, ელისაბედის ქუჩა, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, სახლი **ძმ. მ ი ლ ო ვ ე ბ ი ს ა № 1.** ოთახები ნათელი და მშრალი, თბილი კარიდორებით. მოსამსახურეთ ქალები და კაცები; განათებულ ელექტრონით. ნომრები ორ-ორი ოთახებიანიც არის.

**ფ ა ს ი: 60 კაპეიკიდან 2 მანეთამდე: თვიურებს დაეთმობათ.**

(30—181—18) პატრონი ნომრებისა **ს. მომცელიძე.**

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითოევის მრეწველობისა

**სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. ძეგველოვების ● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●**

**პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,**

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

**✦ ახალ-ახალი ✦**

**ოსეტრინა** (ზუთხი) და **სევრიუგა** (ტარაღანა).

**ხიზილალა**

ახალი (Зернистая).

პ ა რ კ ი ს ა და კ ო ლ ო ფ ე ბ ი თ

**საუკეთესო დოშები და ზურგიელები**

**მიღებულია ღვინის ორაგული** (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მან და წითელი ხიზილალა (Кетовая). 50 კ. 60 კ. გირ.

აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები. (წ—128—47)

ერთად-ერთი საწყობი ფითოევის მრეწველობისა.

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა


სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი **იროდიონ სონღულაშვილი.**